ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3483149

ნომერი: AR1532088

თარიღი : 11.08.2017

გაცემის თარიღი : 23.08.2017

გაცნობის თარიღი : 23.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაკო ვარამაშვილი პ/ნ 01019046782
- თბილისი დიდი დიღომი მეფე მირიანის ქ. N 13ბ ბ. 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 აგვისტოს №AR1532088 განცხადებით მომართა მოქ. ვაკო ვარამაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 27

ივნისის №3334308 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებით დამტკიცდა, ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.72.14.042.711 ინიდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებაში არ არის დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზები.
სამსახურმა, 2017 წლის 11 აგვისტოს №AR1532088 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დოკუმენტაციას და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებას დაემატოს მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა: • განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: (იხილეთ დანართი); • დანიშნულება: განაშენიანების რეგულირება • შეზღუდვა: შენობა–ნაგებობა განთავსდეს განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა; • განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: (იხილეთ დანართი) • დანიშნულება: განაშენიანების ჩამოყალიბება • შეზღუდვა: ძირითადი შენობა–ნაგებობა განთავსდეს განაშენიანების სავალდებულო ლურჯ ხაზზე; განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა შესაზლებელია განთავდეს ძირითადი შენობის დამხმარე ფუნქციის მქონე ნაგებობები: პანდუსი, კიბე, ფანჩატური და ა.შ ;
გაფრთხილება: 1. დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების და სავალდებულო ხაზები.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებას დანართის სახით დაემატოს, წინამდებარე ბრძანების თანდართული ფაილი (დანართი N1).

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 ივნისის №3334308 ბრძანებასთან ერთად ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.